ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის N01-07/04
დადგენილებით
დანართი 1

ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის მარეგულირებელი წესი

2025

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 1
მუხლი 2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა 1
მუხლი 3. შეფასების ფორმები და გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა 1
მუხლი 4. წერილობითი გამოცდის ჩატარების თავისებურებები 2
მუხლი 5. ზეპირი გამოცდების ჩატარების თავისებურებები 2
მუხლი 6. პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების გამოცდების ჩატარების თავისებურებები 3
მუხლი 7. კომბინირებული ფორმით გამოცდის ჩატარების თავისებურებები 3
მუხლი 8. საგამოცდო განრიგი 4
მუხლი 9. საგამოცდო მასალები 4
მუხლი 10. საგამოცდო ნაშრომების გასწორება და შედეგები 5
მუხლი 11. საგამოცდო პროცესი 5
მუხლი 12. სტუდენტის ქცევის წესები გამოცდის მიმდინარეობის დროს 6
მუხლი 13. გამოცდის დამკვირვებლები 8
მუხლი 14. გამოცდის გაუქმება / გადადება და განმეორებითი გამოცდის ჩანიშვნის საფუძვლები 9
მუხლი 15. გამოცდის აღდგენა 9
მუხლი 16. კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენლი / გამოცდის დამკვირვებლის უფლება - მოვალეობები 10
მუხლი 17. გასაჩივრების წესი 11
მუხლი 18. სააპელაციო კომისია 12
მუხლი 20. საგამოცდო პროცესის მონიტორინგი 12
მუხლი 21. დასკვნითი დებულებები 13
დანართები 13

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

N	თარიღი	ნდ-ის ნომერი	დოკუმენტის მიმღები	ცვლილება	ვერსია	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	16.01.2025	01-07/04	აკადემიური საბჭო	პირველადი რედაქცია	01	

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „საგამოცდო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (შემდეგში „წესი“) არეგულირებს შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტი“-ს (შემდეგში – „ავიცენა“ ან „უნივერსიტეტი“) გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და პროცედურულ საკითხებს და მისი შესრულება სავალდებულოა სტუდენტებისა და საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირებისათვის.

1.2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საუნივერსიტეტო სივრცში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ავიცენას დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად.

1.3. ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება პროგრამის განხორციელების ენაზე, გარდა ენობრივი სასწავლო კურსებისა. საგამოცდო პროცესის ყველა მონაწილე ვალდებულია საგამოცდო პროცესის დროს კომუნიკაცია აწარმოოს პროგრამის განხორციელების ენაზე.

1.4. სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და გამოცდაზე დაშვების ბარიერი რეგულირდება შესაბამისი საგნის სილაბუსითა და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად.

მუხლი 2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

2.1. ავიცენაში გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის „კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრი“ (ამ დოკუმენტის მიზნებისათვის შემდგომში ტექსტში „შეფასების ცენტრი“).

2.2. ცენტრში გამოცდების ორგანიზება ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

ა) წერითი გამოცდის ჩატარება (ტესტირება) ზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით პროგრამულად LMS სისტემაში.

ბ) მატერიალური ფორმით ე.წ. ქაღალდის მატარებელზე დატანილი კითხვების მეშვეობით სტუდენთთა ტესტირება უზრუნველყოფილია ტესტების სტუდენტებისათვის მიწოდებით, საამისოდ გამოყოფილ საგამოცდო სივრცეში;

ბ) ზეპირი გამოცდის ორგანიზება ხდება ცენტრის თანამშორმლების მიერ შემფასებელ ლექტორთან კოორდინირებით;

გ) პრაქტიკული გამოცდა კლინიკური უნარების შესაფასებლად ტარდება ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ სივრცეებში.

დ) კომბინირებული გამოცდები ტარდება გამოცდის ტიპებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამის საგამოცდო სივრცეებში.

მუხლი 3. შეფასების ფორმები და გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა

3.1. ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის შეფასება მოიცავს ეტაპებს:

ა) შუალედური გამოცდა (ინტეგრირებული საგნის/ბლოკის გამოცდა);

ბ) დასკვნითი გამოცდა (ინტეგრირებული საგნის/ბლოკის გამოცდა);

გ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE);

დ) ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE).

3.2. სემესტრის მანძილზე თითოეულ ინტეგრირებულ ბლოკში (სასწავლო კურსი/საგანი) სტუდენტს უტარდება ერთი შუალედური გამოცდა სემესტრის მიმდინარეობისას.

3.3. სემესტრის დასრულებისას თითოეულ ინტეგრირებულ ბლოკში (სასწავლო კურსი/საგანი) სტუდენტს უტარდება ერთი დასკვნითი გამოცდა, შესაბამისი საგნის სილაბუსით დადგენილი ფორმატით;

3.4. შუალედური და დასკვნითი გამოცდები შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ფორმთ:

ა) წერილობითი ფორმით (ღია და დახურული ტიპის ტესტები), პროგრამულად ან მატერიალურად (ქაღალდის მატარებელზე);

ბ) ზეპირი ფორმით, სტუდენტთა გამოკითხვის გზით;

გ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) გზით;

დ) ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის (OSPE) გზით;

ე) კომბინირებული ფორმით.

3.5. გამოცდების ჩატარების ფორმები განისაზღვრება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

3.6. ინტეგრირებულ ბლოკებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე, შემავალი საკითხების ტესტური თუ წერითი საკითხების გადანაწილება ხდება ბლოკში შემავალი საგნების პროპორციულად.

3.7. ინტეგრირებული სასწავლო კურსისთვის, მხოლოდ ტესტური ფორმით, შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენს არაუმეტეს 1 (ერთი) აკადემიურ საათს, თუ შესაბამისის სასწავლო კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.8. ინტეგრირებული სასწავლო კურსისთვის, მხოლოდ ტესტური ფორმით, დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობა განისაზღვრება არაუმეტეს 2 (ორი) აკადემიურ საათით, თუ შესაბამისის სასწავლო კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.9. ზეპირი და კომბინირებული ფორმით გამოცდების ჩატარების ხანგრძლივობა განისაზღვრება საჭიროებიდან გამომდინარე.

მუხლი 4. წერილობითი გამოცდის ჩატარების თავისებურებები

4.1. სტუდენტთა ტესტირება ხდება წერილობითი ფორმით, მატერიალური ან ელექტრონული რესურსის გამოყენებით.

4.2. კომპიუტერული ტესტირება უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) - მეშვეობით (https://testingav.ini.ge/#/login/testHash). სისტემის მეშვეობით ტესტირების ჩატარების ინსტრუქცია ასახულია პროგრამაში.

4.3. ტესტებში საგამოცდო საკითხები ფორმირებულია ღია და დახურული ტიპის შეკითხვებით. ღია ტესტებში მოცემულია მხოლოდ შეკითხვა, სტუდენტმა თავად უნდა დაწეროს სწორი პასუხი. ხოლო, დახურული ტიპის ტესტირების დროს სტუდენტმა უნდა აირჩიოს რამოდენიმე ალტერნატიული სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხი.

4.4. ტესტში მოცემული შეკითხვების რაოდენობა, ერთი ტესტის ხვედრითი წონა და საბოლოოდ მისაღები ქულები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.

მუხლი 5. ზეპირი გამოცდების ჩატარების თავისებურებები

5.1. ზეპირი გამოცდა ტარდება შეფასების ცენტრის ორგანიზებით.

5.2. შეფასების ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) შემფასებელი პირის/ლექტორის მიერ მოწოდებული საკითხების შესაბამისად ზეპირი გამოცდის ბილეთების შედგენას;

ბ) საგამოცდო საკითხების კონფიდენციალურობის დაცვას;

გ) შემფასებლის მიერ საგამოცდო ნაშრომების ობიექტური და სწორი შეფასების მიზნებისთვის შესაფასებელ სტუდენტთა ანონიმურობის დაცვას;

დ) საგამოცდო პროცესის ორგანიზებას (საგამოცდო ოთახის მომზადება, გამოცდის ჩატარების დროს შესახებ სტუდენტებისა და პროფესორი-მასწავლებელთა ინფორმირება);

ე) გამოცდებთან დაკავშირებით სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების კონსულტირებას.

5.3. სტუდენტთა ჯგუფში ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში, საგამოცდო ბილეთი/მასალა ერთდროულად უნდა გაიცეს არაუმეტეს სამ სტუდენტზე. სტუდენტისათვის მიცემული გამოსაცდელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.

მუხლი 6. პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების გამოცდების ჩატარების თავისებურებები

6.1. **OSCE** (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) და **OSPE** (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა) გამოცდები ტარდება სპეციალურ სივრცეში. კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრში განთავსებულია 15 სადგური. სადგურების სპეციფიკა წინასწარვეა დადგენილი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე. საგამოცდო პერიოდში სტუდენტებისთვის წინასწარ განისაზღვრება სადგურის ნომერი, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

6.2. თითოეულ სადგურზე სტუდენტი ყოვნდება **5** წუთი, ხოლო ერთი სადგურიდან მეორე სადგურზე გადასვლას ეთმობა 15 წამი. სადგურში შესვლასა და გამოსვლას ავტომატურად რეგულირდება ელექტრონული სასიგნალო ზარით და აღირიცხება გამოცდის დამკვირვებლის მიერ.

6.3. გამოცდის დაწყებამდე სტუდენტებს დაურიგდებათ სანომრე ნიშნები და სადგურების სია - დასრულებული სადგურის მონიშვნის მიზნით.

6.4. შესაბამის სადგურზე შესვლამდე, სტუდენტი ეცნობა ინფორმაციას სადგურის შესახებ, კეროდ სადგურის ნომერს, სადგურის სახელწოდებას და სიტუაციურ ამოცანას, რომლის შესრულებაც მოეთხოვება აღნიშნულ სადგურზე. სადგურში დამატებით მოთავსებულია ინფორმაცია შესასრულებელი დავალების შესახებ და დავალებისათვის საჭირო ყველა საჭირო აღჭურვილობა (სიმულატორები/მანეკენები, სახარჯი მასალა და სხვა).

6.5. სადგურში, შესასრულებელი დავალების გათვალისწინებით, შესაძლოა მოთავსებული იყოს მანეკენი/სიმულაციური პაციენტი. სადგურში შესაძლებელია იმყოფებოდეს შემფასებელიც.

6.6. თითოეულ სადგურზე დამონტაჟებულია კამერები, რომელთა საშუალებითაც ხდება გამოცდის პროცესის ჩაწერა, რათა ყველა სტუდენტი შეფასდეს სტანდარტიზებულად და მიუკერძოებლად.

მუხლი 7. კომბინირებული ფორმით გამოცდის ჩატარების თავისებურებები

7.1. კომბინირებული ფორმით გამოცდები ტარდება წინამდებარე წესის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლით გათვალსიწინებული ფორმებით, შერეულად, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

7.2. რამდენიმე კომპონენტიანი (ზეპირი და წერითი) გამოცდის შემთხვევაში, კომპონენტებს შორის შუალედი არ უნდა აღემატებოდეს ერთ დღეს.

მუხლი 8. საგამოცდო განრიგი

8.1. შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულთან კონსულტაციების შედეგად, გამოცდების განრიგის შედგენას და რექტორისათვის დასამტკიცებლად მიწოდებას უზრუნველყოფს შეფასების

ცენტრი. საგამოცდო განრიგში აისახება ინფორმაცია: სასწავლო კურსის, სტუდენტთა ჯგუფის, დროს, ადგილის, საგნის ლექტორის, დამკვირვებელის და სხვათა შესახებ;

8.2. შეფასების ცენტრი ვალდებულია:

ა) ინფორმაცია შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების განრიგის შესახებ გამოაქვეყნოს და ასახოს LMS პროგრამაში:

ა.ა) შუალედური გამოცდებისათვის – გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა;

ა.ბ) დასკვნითი გამოცდებისათვის – გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) კვირისა;

ა.გ) დამატებითი გამოცდებისათვის – საგამოცდო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა.

ბ) გამოცდების განრიგის ფორმირების დროს, კონსულტაციები გაიაროს შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულთან, ლექტორთან და გაითვალისწინოს მათი დასაბუთებული შენიშვნები/მითითებები. პროცესში შესაძლოა ჩართული იყოს სტუდენტებიც.

8.3. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შუალედური გამოცდა ტარდება მთელი სემესტრის განმავლობაში, სასწავლო კურსების შესაბამისად, ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდები ინტეგრირებული სწავლების დასრულებისთანავე.

8.4. კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრი შეიმუშავებს საგამოცდო განრიგს იმგვარად, რომ იგი არ იყოს ცენტრის მიერ დაგეგმილი ტესტური/წერითი საგამოცდო ცხრილის თანმხვედრი.

8.5. საგნის სპეციფიკის ან/და სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით შესაძლებელია განისაზღვროს გამოცდების ამ მუხლით დადგენილისაგან განსახვავებულ ვადებში ჩატარება.

მუხლი 9. საგამოცდო მასალები

9.1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია ცენტრში საგამოცდო საკითხები / ბილეთები / ტესტები შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის წარმოადგინოს ცენტრის მიერ მათთვის წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, გამოცდის შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდების თარიღამდე **არაუგვიანეს 10 დღისა.**

9.2. ცენტრში წარმოდგენილი საკითხები/ბილეთები/ტესტები, სრულად უნდა მოიცავდეს და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას და ვალიდურობა დასტურდებოდეს შესაბამისი ლექტორის მიერ.

9.3. წარმოსადგენი საგამოცდო საკითხების/ტესტების ოდენობას განსაზღვრავს ცენტრი სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

9.4. დაუშვებელია საგამოცდო ტესტების, ინტეგრირებული საკითხებისა და სხვა საგამოცდო მასალის სტუდენტებთან ან/და სხვა პირებთან გაზიარება, გარდა კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრისა.

მუხლი 10. საგამოცდო ნაშრომების გასწორება და შედეგები

10.1. სტუდენტთა შეფასებას და საგამოცდო ნაშორმების გასწორებას უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორი-მასწავლებელი.

10.2. გამოცდის დასრულების შემდეგ სტუდენტის მიერ ქაღალდის მატარებელზე შესრულებული ნაშრომი შეფასების ცენტრის მიერ უნდა დაიშიფროს და გადაეცეს საგნის ლექტორს, რომელიც გასწორებულ ნაშრომებს უკან დაუბრუნებს ამავე პირს. ხოლო LMS პროგრამაში სტუდენტის მიერ შესრულებული ნაშრომები მიეწოდება საგნის ლექტორს პროგრამის მეშვეობით.

10.3. ქაღალდის მატარებელზე სტუდენტის მიერ შესრულებული ნაშრომის შეფასებები შეფასების ცენტრს შეაქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, უწყისის ველში.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდა ტარდება ღია ან დახურული ტესტების ფორმატით, ქაღალდის მატარებელზე, სტუდენტისათვის გამოცდის შედეგები ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებიდან ოპტიმალურ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 1 (ერთი) კვირისა.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდა ტარდება დახურული ტესტების ფორმატით, LMS პროგრამის მეშვეობით, სტუდენტისათვის გამოცდის შედეგები ცნობილი ხდება პროგრამულად, გამოცდის დასრულებისთანავე. ღია ტესტების შემთხვევაში – გამოცდის დასრულებიდან ოპტიმალურ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 1 (ერთი) კვირისა.

10.6. თუ გამოცდა ტარდება ზეპირი ფორმით, გამოცდის შედეგები სტუდენტისათვის ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებისთანავე.

10.7. წინამდებარე მუხლში მითითებული საგამოცდო ნაშორმების შეფასების ვადების დაუცველობის შემთხვევაში, ცენტრი ან/და შემფასებელი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ სკოლის დეკანს.

10.8. სტუდენტის მიერ მიღებული ქულები აისახება პროგრამულად, LMS ელექტრონულ მართვის სისტემაში (students.abmu.edu.ge), სადაც სტუდენტი ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის მეშვეობით ეცნობა საგამოცდო შედეგებს.

მუხლი 11. საგამოცდო პროცესი

11.1. გამოცდაზე დაშვების მიზნით, სტუდენტი უნდა გამოცხადდეს სარეგისტრაციოდ გამოცდის დაწყებამდე 30 (ოცდაათი) წუთით ადრე.

11.2. იდენტიფიცირების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

11.3. სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს ცხრილში მითითებული განრიგის მიხედვით. თუ სტუდენტი გამოცდაზე დააგვიანებს არაუმეტეს 10 (ათი) წუთით, ის დაიშვება გამოცდაზე, თუმცა მას არ მიეცემა დამატებითი საგამოცდო დრო. 10 (ათი) წუთზე მეტი დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე.

11.4. რეგისტრაციის შემდეგ, სტუდენტს ეცნობება წინასწარ განსაზღვრული სექტორის, მაგიდის ნომრის ან/და აუდიტორიაში მისი ადგილის შესახებ. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო დარბაზში ადგილი დაიკავოს აღნიშნული რეგისტრაციის ნომრის მიხედვით. დაუშვებელია ადგილების გაცვლა სტუდენტებს შორის.

11.5. გამოცდის დაწყებამდე ცენტრის თანამშრომელი და/ან დამკვირვებელი) სტუდენტებს აცნობს გამოცდაზე ქცევის წესებს.

11.6. გამოცდის დროის ათვლა, სააუდიტორიო გამოცდის დროს, იწყება გამოცდის ჩაბარებაზე უფლებამოსილი სტუდენტის გამოცდაზე რეგისტრაციის შემდეგ, ცენტრის თანამშრომლის მიერ დროის ათვლაზე შეტყობინების მომენტიდან, ხოლო ელექტრონული ტიპის გამოცდაზე, საგამოცდო პროცესის დაწყებაზე სტუდენტის დასტურის შემდეგ.

11.7. კომპიუტერული ტესტური გამოცდა იწყება ავტომატურად, გამოცდის დაწყების მითითებულ დროს.

11.8. გამოცდის დაწყების და დამთავრების დრო გამოცდის დაწყებამდე წინასწარ უნდა ეცნობოს სტუდენტებს (განემარტოს ან/და დაიწეროს დაფაზე, იმ შემთხვევაში თუ გამოცდა ტარდება აუდიტორიაში). გარდა აღნიშნულისა, პედაგოგი/დამკვირვებელი ვალდებულია 15 წუთით ადრე აცნობოს აუდიტორიაში მყოფ სტუდენტებს გამოცდის ამოწურვამდე დარჩენილი დრო. ამ პუნქტით დადგენილი გამოცდის დასრულების შესახებ სტუდენტის ინფორმირების წესი არ ვრცელდება ზეპირი ფორმის გამოცდაზე.

მუხლი 12. სტუდენტის ქცევის წესები გამოცდის მიმდინარეობის დროს

12.1. სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცდების განრიგით დადგენილ დროს გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში (საგამოცდო ბილეთების დარიგების, კომპიუტერთან გამოცდის დაწყების შემდეგ) იგი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) გამოცდაზე დასაშვებად იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან პასპორტი), რომელიც უნდა მოათავსოს სამუშაო მაგიდის კუთხეში;

გ) ჩააბაროს ცენტრის წარმომადგენელს (დამკვირვებელს) ან მოათავსოს შესაბამისად განკუთვნილ ადგლიზე პირადი ნივთები, მათ შორის ჩანთა, მობილური ტელეფონი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები (ლეპტოპი, პლანშეტი, ელექტრონული წიგნი, smart watch და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა აუდიო-ვიზუალური გამოსახულების ან/და კავშირის ფუნქციონალით).

დ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ბილეთი/მასალა, ბილეთის/მასალის დაზიანების ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გაურკვევლობის არსებობის შემთხვევაში მიმართოს ცენტრის წარმომადგენელს/დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ ასეთი პრეტენზია არ მიიღება;

ე) საგამოცდო ბილეთის/მასალის თავფურცელზე დააწეროს სახელი, გვარი და LMS ID. საგამოცდო დავალება შეასრულოს ლურჯი ფერის საწერი კალმით (აკრძალულია მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ან რაიმე სახის მინიშნების შესრულება);

ვ) შეასრულოს ცენტრის წარმომადგენლისა და დამკვირვებლის მითითებები. საგამოცდო წესების შესახებ მითითებების შეუსრულებლობა გამოიწვევს სტუდენტის გამოცდიდან მოხსნას, ხოლო საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირისათვის შეურაცხყოფის მიყენება, ბულინგი, პლაგიატის მცდელობა ან გამოცდის მსვლელობის სხვაგვარად შეფერხება გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მარეგულირებელი წესის შესაბამისად;

ზ) გამოცდის მსვლელობისას შეინარჩუნოს სიმშვიდე. დაუშვებელია ხმამაღალი საუბარი ან ადგილიდან წამოძახილი;

თ) სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი/მასალა და ნამუშევრები გადასცეს ცენტრის წარმომადგენელს/დამკვირვებელს, კომპიუტერთან მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში დასრულების შესახებ აცნობოს დამკვირვებელს და ისე დატოვოს საგამოცდო ადგილი.

ი) ნაშრომის ჩაბარების/გამოცდის დასრულების შემდეგ დატოვოს საგამოცდო აუდიტორია.

12.2. *სტუდენტს ეკრძალება:*

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება გამოცდის მიმდინარეობის დროს;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების (გარდა ცენტრის მიერ გადაცემული მასალისა) და ისეთი მასალის გამოყენება, რომელიც არ არის დაშვებული საგნის ხელმძღვანელის (ლექტორის) მიერ;

გ) გადალაპარაკება, ზედმეტი გაუმართლებელი მოძრაობა, დახმარების გაწევა/მიღება ან სხვა სტუდენტისათვის ან/და შემფასებლისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

დ) ნებისმიერი ნივთის შეტანა გამოცდაზე, გარდა სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა.

ე) საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ აუდიტორიიდან გასვლა მის მიერ გამოცდის ჩაბარებამდე. საგამოცდო ადგილის თვითნებური დატოვება გამოიწვევს სტუდენტის გამოცდიდან მოხსნას.

ვ) სამუშაო ადგილზე სხვა ნივთების მოთავსება, გარდა ცენტრის მიერ ნებადართული ნივთებისა;

ზ) ნაშრომზე მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;

თ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ნაშრომზე მუშაობის გაგრძელება.

ი) ნაშრომზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან და იძლევა სტუდენტის იდენტიფიცირების შესაძლებლობას;

კ) გადაწერა ან/და ე.წ. „შპარგალკის" გამოყენება. „შპარგალკად" შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სახის ელექტრონული მოწყობილობა, მობილური ტელეფონი და სხვა. აგრეთვე, ნებისმიერი სახის ჩანაწერი ან ფურცელი, თუ იგი არ არის გაცემული საგამოცდო დავალებასთან ერთად, ან არ აქვს საგნის ლექტორის/დამკვირვებლის ხელმოწერა (მოიხსნება გამოცდიდან);

ლ) კალკულატორის ან/და კოდექსის გადაცემა სხვა სტუდენტისათვის. ეს ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და გაფრთხილების შემდეგ განმეორების შემთხვევაში ორივე სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან;

მ) საგნის ლექტორისათვის/დამკვირვებლისათვის, საგამოცდო დავალების შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, განმეორებისას კი მოიხსნება გამოცდიდან.

ნ) წესრიგის უხეში დარღვევა, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფა, პლაგიატის მცდელობა, სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის წერა ან სხვა მსგავსი შემთხვევა, რაც სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია;

ო) სხვა შემთხვევა, რაც გამოიწვევს საგამოცდო პროცესის ნებისმიერი ფორმით განზრახ ხელშეშლას, ან საგამოცდო ნაშრომების გაყალბებას.

12.3. წინამდებარე მუხლის 12.2 პუნქტით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში შეფასების ცენტრი უფლებამოსილია მოხსნას სტუდენტი გამოცდიდან, ნაშრომის შედეგები გააფორმოს 0 ქულით და საჭიროების შემთხვევაში მოხსენებითი ბარათით მიმართოს რექტორის მოადგილეს დამრღვევი სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების მიზნით.

12.4. ***სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე:***

ა) თუ სტუდენტი არ არის გამოცდის ჩაბარებაზე უფლებამოსილი სტუდენტების სიაში;

ბ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში. ამ დროს შეფასების ცენტრი უფლებამოსილია მოითხოვოს სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელება, უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი მარეგულირებელი წესით.

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის არქონის შემთხვევაში, თუ ვერ ხდება სტუდენტის იდენტიფიცირება;

დ) მობილური ტელეფონისა და სხვა ტექნიკის ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მუხლი 13. გამოცდის დამკვირვებლები

13.1. გამოცდის დამკვირვებელი შეიძლება იყოს შეფასების ცენტრის წარმოამდგენელი ან/და რექტორის ბრძანებით დანიშნული სხვა პირი.

13.2. ცენტრის წარმომადგენელი/დამკვირვებელი ვალდებულია:

ა) გამოცდის ჩატარების ადგილზე გამოცხადდეს დადგენილ დროს (გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ 15 წუთით ადრე).

ბ) საგამოცდო აუდიტორიაში ჩაიბაროს საგამოცდო ბილეთები/მასალები, დაურიგოს სტუდენტებს და დროის ათვლის შესახებ გააფრთხილოს სტუდენტები;

გ) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას და უზრუნველყოს გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესის მოთხოვნების დაცვა;

დ) ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს მისცეს გაფრთხილება, მოხსნას იგი გამოცდიდან, საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს აღნიშვნა – „მოხსნილია გამოცდიდან“ შესაბამისი მიზეზის მითითებით და გადასცეს სკოლის ადმინისტრაციას;

ე) სტუდენტის პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვებზე გასცეს პასუხი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე პრობლემის არსებობის შემთხვევაში მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას;

ვ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გამოცდის დასრულების შესახებ გააფრთხილოს სტუდენტი;

ზ) ჩაიბაროს საგამოცდო ნაშრომები და გადასცეს სკოლის ადმინისტრაციას;

თ) გამოცდიდან სტუდენტის მოხსნის შემთხვევაში შეავსოს წინამდებარე წესზე თანდართული ფორმის შესაბამისად დარღვევის აქტი (დანართი №1) და საგამოცდო ფურცელთან ერთად გადასცეს უფლებამოსილ პირს.

13.3. წინამდებარე მუხლით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებლის მიმართ დაიწყება დისციპლინური საქმისწარმოება.

მუხლი 14. გამოცდის გაუქმება / გადადება და განმეორებითი გამოცდის ჩანიშვნის საფუძვლები

14.1. გამოცდის გაუქმებისა და გადადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში თუ:

ა) დადგინდა ინფორმაცია საგამოცდო საკითხებზე არაავტორიზებულ პირთა წვდომის შესახებ. ამ მუხლის მიზნებისთვის არაავტორიზებულ პირებად მიიჩნევა ყველა, გარდა სასწავლო კურსის შემფასებლისა და ცენტრის თანამშრომლისა.

ბ) დადგება ფორს-მაჟორული გარემოებები ან სხვა ტექნიკური ხელშემშლელი ფაქტორები, რაც გამორიცხავს დადგენილ დროს გამოცდის ჩატარების შესაძლებლობას.

გ) სტუდენტთა განცხადებით (დანართი №2), საგანზე რეგისტრირებული სტუდენტების მინიმუმ 70%-ის თანხმობით.

14.2. გადაწყვეტილება გამოცდის გაუქმებისა და გადადების თაობაზე მიიღება შეფასების ცენტრის მიერ.

14.3. საპატიო მიზეზების გამოცდების გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს გაცდენილი გამოცდის განმეორებით ჩაბარება (გამოცდის აღდგენა).

14.4. ძირითად სასესიო პერიოდში უარყოფითი - Fx (41-50 ქულა) შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება (გამოცდის გადაბარება) საბოლოო საგამოცდო შედეგების გამოცხადებიდან <u>არანაკლებ ხუთი დღის ვადაში</u>.

მუხლი 15. გამოცდის აღდგენა

15.1. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება გამოცდის ისეთი საპატიო მიზეზით გაცდენა, როგორიცაა ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის გარდაცვალება, ჯანმრთელობის პრობლემები, რომელიც მოითხოვს პირის იზოლაციას ან სტაციონარში მოთავსებას, პირისათვის თავისუფლების დროებით აღკვეთა ან სხვა დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც დასტურდება დოკუმენტალურად.

15.2. სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდის აღდგენის შესახებ სტუდენტის დასაბუთებული განცხადება ცენტრში შეიტანება საპატიო მიზეზის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში. განცხადებაში სტუდენტი ვალდებულია დაასაბუთოს გამოცდაზე გასვლის ფაქტობრივი შეუძლებლობა, ასევე ზუსტად მიუთითოს საპატიო გარემოების ვადები და წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

15.3. ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის გარდაცვალების ფაქტის დადასტურებისათვის, სტუდენტს მოეთხოვება გარდაცვალების მოწმობის წარმოდგენა. ცენტრი უფლებამოსილია მოწმობის წარდგენისათვის სტუდენტს განუსაზღვროს ამ მუხლის მე-2 პუნქტისგან განსხვავებული, გონივრული ვადა.

15.4. ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგიონოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ და დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი - „ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“ (ფორმა IV–100/ა), რომელიც მიუთითებს სტუდენტის იმგვარ მდგომარეობაზე, რომელიც შეუძლებელს ხდის გამოცდაზე გამოცხადებას. საპატიო მიზეზის დადგენისთანავე ნადგურდება სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელობის ცნობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

15.5. გამოცდის აღდგენის მოთხოვნის შესახებ განცხადება წარედგინება ცენტრს, რომელიც განცხადების მიღებიდან 2 (ორი) დღის ვადაში განიხილავს მოთხოვნას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ;
ბ) მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის განცხადებით მოთხოვნილია რამოდენიმე სასწავლო კურსის გამოცდის ჩაბარება. ამ შემთხვევაში დაკმაყოფილდება საპატიოდ მიზეზით დადგენილ პერიოდში გაცდენილი გამოცდის აღდგენა.
გ) მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

15.6. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს განსაზღვრული დამატებითი მტკიცებულებისა და ინფორმაციის გონივრულ ვადაში წარმოდგენა.

15.7. საპატიო გარემოებების არსებობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია შესთავაზოს სტუდენტს გამოცდების ინდივიდუალური გეგმა.

15.8. ცენტრის მიერ გამოცდის აღდგენასთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

15.9. სემესტრის დასრულების შემდეგ გამოცდის აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 16. კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენლი / გამოცდის დამკვირვებლის უფლება - მოვალეობები

16.1. საგამოცდო პროცესის დროს ცენტრში/საგამოცდო სივრცეში დაშვებულია მხოლოდ ცენტრის თანამშრომლების (დამკვირვებლები) ან/და შემფასებელი პირების ყოფნა, საგამოცდო ფორმატის გათვალისწინებით.

16.2. ცენტრის თანამშრომელი (დამკვირვებელი) ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გამოცდაზე დაშვების მიზნით სტუდენტთა რეგისტრაცია;
ბ) წერილობითი საგამოცდო მასალის დარიგება გამოცდის დაწყებამდე და მათი შეგროვება საგამოცდო ვადის ამოწურვისთანავე;
გ) გამოცდის დაწყებამდე სტუდენტთათვის გამოცდაზე ქცევის წესის გაცნობა;
დ) საგამოცდო პროცესის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა (გამოცდის ვადის ამოწურვამდე) და სტუდენტის მიერ ამ წესის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;
ე) გამოცდის თითოეული ტიპისთვის ამ წესით განსაზღვრული დროის ლიმიტის მონიტორინგი და აღნიშნულის შესახებ გამოცდაზე მყოფ პირთა ინფორმირება.
ვ) სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტის თანხლება, ასეთის გადაუდებელი საჭიროების დროს.

16.3. ცენტრის წარმომადგენელი/დამკვირვებელი ვალდებულია, დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში/საგამოცდო სივრცეში. მკაცრად აკონტროლოს სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა. მათი დარღვევის შემთხვევაში მისცეს გაფრთხილება სტუდენტს, ხოლო განმეორებითი გაფრთხილებისას, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთით სარგებლობის შემთხვევაში მოხსნას იგი გამოცდიდან და აცნობოს ამის შესახებ ცენტრის ხელმძღვანელს.

16.4. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, დამკვირვებელი/ცენტრის წარმომადგენელი ჩამოართმევს სტუდენტს საგამოცდო ბილეთს და საგამოცდო ფურცლებს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საგამოცდო ფურცელზე აკეთებს წარწერას „მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით, აწერს ხელს და გადასცემს ცენტრის ხელმძღვანელს. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდა ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, დამკვირვებელი/ცენტრის წარმომადგენელი ვალდებულია სტუდენტს აცნობოს, რომ მის მიერ მოხდება გამოცდის დამთავრება. სტუდენტი მხოლოდ ამის შემდეგ ტოვებს აუდიტორიას/საგამოცდო სივრცეს.

16.5. დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული სექტორის/საგამოცდო სივრცის გაუფრთხილებლად დატოვება.

16.6. დამკვირვებელი/ცენტრის წარმომადგენელი ვალდებულია, გასცეს პასუხი სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს. მას საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება.

16.7. დამკვირვებელი/ცენტრის წარმომადგენელი გამოცდის დაწყების და დამთავრების დროს წინასწარ აცნობებს სტუდენტებს. გარდა აღნიშნულისა, დამკვირვებელი/ცენტრის წარმომადგენელი ვალდებულია 15 წუთით ადრე აცნობოს აუდიტორიაში მყოფ სტუდენტებს გამოცდის ამოწურვამდე დარჩენილი დრო. ეს წესი არ ვრცელდება ზეპირი ფორმის გამოცდაზე.

მუხლი 17. გასაჩივრების წესი

17.1. სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) სამუშო დღის ვადაში მიმართოს ცენტრს შედეგების გადასინჯვის მიზნით და მოითხოვოს ნაშრომში ასახული პასუხების გაცნობა.

17.2. ცენტრი ვალდებულია 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სტუდენტისთვის თავისი ნაშრომის გაცნობა.

17.3. სააპელაციო განაცხადი (დანართი №3) შესაბამისი წერილობითი არგუმენტებითა და დასაბუთებით სტუდენტის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი ცენტრში, შედეგების გაცნობიდან/ნაშრომის

გადახედვიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადისა და წინამდებარე წესით დამტკიცებული სააპელაციო განაცხადის ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველად წარმოდგენილი სააპელაციო განაცხადი არ ექვემდებარება განხილვას.

17.4. ცენტრი საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს:

ა) იმ სტუდენტთა ნაშრომების გადაგზავნას შემფასებელი პირისათვის, რომლებიც არ ეთანხმებიან გამოცდაზე მიღებულ შეფასებას და მოითხოვენ შედეგების გადასინჯვას. ნაშრომის გადახედვის მოთხოვნა დაშვებულია მხოლოდ ერთხელ.

ბ) ნაშრომის გადაგზავნის და აპელაციის მიღება/არმიღების თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ სტუდენტის ინფორმირებას.

17.5. საგნის ლექტორი/შემფასებელი პირი, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს აპელაციის დასკვნის/უკუკავშირის მიწოდებას (დანართი №4) ცენტრისთვის, რომელიც თავის მხრივ აცნობებს სტუდენტს გადაწყვეტილებების შესახებ დასკვნის მიღებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

17.6. პირველადი გასაჩივრების შემდეგ სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ნაშრომის კომისიური წესით გასწორება წინამდებარე წესის შესაბამისად და ამ მიზნებისათვის შესაბამისი სააპელაციო განაცხადით (დანართი №5) მიმართოს რექტორს.

მუხლი 18. სააპელაციო კომისია

19.1. სააპელაციო განაცხადს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია, მისი მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

19.2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს კენტი რაოდნეობის და განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, არანაკლებ 3 წევრით, რომელთა კომპეტენცია შეესაბამება სადავო საკითხს.

19.3. სააპელაციო კომისიის წევრები შესაძლოა იყვნენ უნივერსიტეტში დასაქმებული და სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

19.4. სააპელაციო კომისიაში წევრები უნდა შეირჩნენ იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს ინტერესთა კონფლიქტი. შერჩეული პერსონალი, რომელსაც მიმდინარე სემესტრში უძღვებოდა გასაჩივრებულ სასწავლო კურსს, არ აქვს სააპელაციო კომისიაში მონაწილეობის უფლება.

19.5. შესაძლებელია სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში გარე მოწვეული პირების ჩართვა.

19.6. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს ფუნქციონირებას კომისიის შექმნის შესახებ რექტორის ბრძანების შესაბამისად, დადგენილ ვადებში.

19.7. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს და შეისწავლოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მტკიცებულება, მოუსმინოს აპელანტს, ასევე სხვა პირებს, რომლებიც შეიძლება ფლობდნენ საქმის გადაწყვეტისთვის აუცილებელ ინფორმაციას და მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის ოქმის სახით.

19.8. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, აღწერდეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების და მტკიცებულების შეფასებას. ყველა საეჭვო მტკიცებულება უნდა შეფასდეს აპელანტის სასარგებლოდ.

19.9. სააპელაციო კომისიამ შეიძლება მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) სტუდენტის სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებულ კომპონენტში სტუდენტისთვის შეფასების მინიჭების შესახებ;

ბ) სტუდენტის სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

19.10. სააპელაციო განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობით.

19.11. გადაწყვეტილებასთან ერთად, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია დააფიქსიროს საკუთარი რეკომენდაცია, კენჭისყრის გარეშე.

19.12. თუ შესწავლილი მტკიცებულებები ეჭვს ბადებს საგამოცდო პროცესის მონაწილის მხრიდან ამ წესის, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების ან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე, კომისიის რეკომენდაციებში მიეთითება აღნიშნული ეჭვის შესახებ.
19.13. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.
19.14. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში (დანართი №6).

მუხლი 19. საგამოცდო პროცესის მონიტორინგი

20.1. საჭიროების შემთხვევაში, რექტორის ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარებას და მონიტორინგს ახორციელებენ: რექტორის მოადგილე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შესაბამისი სკოლის დეკანი, დარგობრივი დეპარტამენტები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, საგნის ლექტორები და უფლებამოსილი დამკვირვებელი პირები, რომლებიც შეირჩევიან აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული ან/და დამხმარე პერსონალისაგან.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

21.1. წინამდებარე წესი ძალაში შედის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების მომენტიდან.
21.2. წინამდებარე წესში ცვლილება/დამატება ხორციელდება დოკუმენტის დამტკიცებისათვის არსებული წესით, აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დანართები

დანართი №1 გამოცდის ინსტრუქციის დარღვევის აქტი

დანართი №2 სტუდენტის განცხადების ფორმა გამოცდის გადადება/გაუქმების თაობაზე

დანართი №3 სააპელაციო განაცხადის ფორმა

დანართი №4 სააპელაციო განაცხადზე უკუკავშირის ფორმა

დანართი №5 სააპელაციო კომისიისთვის საჩივრის ფორმა

დანართი №6 საპელაციო კომისიი ოქმი

დანართი № 1.

(მფ-13-002-01-16.01.2025)

გამოცდის ინსტრუქციის დარღვევის აქტი

წინამდებარე ოქმი ადასტურებს, რომ _____ სკოლის _____ საგანმანათლებლო პროგრამის _____ სასწავლო წლის სტუდენტმა _____ დაარღვია გამოცდაზე ქცევის წესი (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის _____ მუხლის —--- პუნქტის მთხოვნები), კერძოდ:

_____

გამოცდის ჩატარების თარიღი: _____

გამოცდის ჩატარების დრო: _____ სთ და _____ წთ.

გამოცდის საგანი/სასწავლო კურსი: _____

დამკვირვებელი/საგნის ლექტორი _____

სხვა პირი (დამკვირვებელი/ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

_____

დანართი №2

(მფ-13-003-01-16.01.2025)

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელს

To Head of the Exam Centre of Avicenna – Batumi Medical University, LLC

სახელი, გვარი:
Name, Surname: _____

პირადი N / პასპორტის N /ლმს ID:
ID / Passport No/ LMS ID: _____

ელ. ფოსტა:
e-mail: _____

სასწავლო წელი:
Study Year: _____

სასაწავლო კურსი:
Learning Course: _____

განცხადება

Statement

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ხელმოწერა:
Signature: _____

თარიღი:
Date: _____
(დღე, თვე, წელი)
(Day, Month, Year)

დანართი №3

(მფ-13-004-01-16.01.2025)

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელს

To Head of the Exam Centre of Avicenna – Batumi Medical University, LLC

სახელი, გვარი:
Name, Surname: _____

პირადი N / პასპორტის N /ლმს ID:
ID / Passport No/ LMS ID: _____

ელ. ფოსტა:
e-mail: _____

სასწავლო წელი:
Study Year: _____

სასაწავლო კურსი:
Learning Course: _____

სააპელაციო განაცხადი

Appellation

- **გამოცდის შინაარსთან დაკავშირებით / Regarding the content of the exam**
- **სხვა /other**

გთხოვთ, მიუთითოთ გამოცდის რომელ ასპექტს (შინაარსი / შედეგები) აპელირებთ და მიუთითეთ მიზეზები. მიზანშეწონილია, რომ აპელაცია იყოს აღწერილი დეტალურად, აპელაციის საფუძვლის მითითებით. / Please specify which aspect of the exam (content or exam result) you are appealing and provide the reasons for your appeal. It is advised to make the appeal letter clear and detailed, referencing the grounds for your appellation.

—----------

დასაბუთება (გთხოვთ, წარმოადგინოთ მტკიცებულება, მიუთითეთ დასაბუთება სასწავლო კურსის ძირითად ან/და დამხმარე ლიტერატურით) / Justification (Please provide evidence in support of your appeal - listed in the core or/and auxiliary literature)

—----------

განმცხადებლის ხელმოწერა:
Signature of applicant: _____

თარიღი:
Date: _____
(დღე, თვე, წელი)
(Day, Month, Year)

დანართი №4

(მფ-13-005-01-16.01.2025)

სახელი, გვარი:
Name, Surname: _____

აკადემიური / მოწვეული პერსონალი:
Academic / Invited Personnel: _____

ელ. ფოსტა:
e-mail: _____

სასაწავლო კურსი:
Learning Course: _____

აპელაციის უკუკავშირი

Feedback on Appeal

- **გამოცდის შინაარსთან დაკავშირებით / Regarding the content of the exam**
- **საგამოცდო პროცედურასთან დაკავშირებით / Regarding the exam procedure**
- **სხვა /other**

გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ მიღებული გადაწყვეტილება და უკუკავშირი აპელაციაზე / Please provide a brief description of the decision and feedback on the appeal

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ხელმოწერა:
Signature: _____

თარიღი:
Date: _____
(დღე, თვე, წელი)
(Day, Month, Year)

დანართი №5

(მფ-13-006-01-16.01.2025)

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელს

To Head of the Exam Centre of Avicenna – Batumi Medical University, LLC

სახელი, გვარი:
Name, Surname: _____

პირადი N / პასპორტის N /ლმს ID:
ID / Passport No/ LMS ID: _____

ელ. ფოსტა:
e-mail: _____

სასწავლო წელი:
Study Year: _____

სასაწავლო კურსი:
Learning Course: _____

სააპელაციო განაცხადზე
გადაწყვეტილების თარიღი:
Date of decision on the appellation: _____

საჩივარი მიღებულ გადაწყვეტილებაზე

Appeal against the decision

- **გამოცდის შინაარსთან დაკავშირებით / Regarding the content of the exam**
- **სხვა /other**

გთხოვთ, დაასაბუთოთ /მიუთითოთ კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები / Please justify/indicate the grounds for revoking the decision of the exam center

_____
_____
_____
_____

ხელმოწერა:
Signature: _____

თარიღი:
Date: _____
(დღე, თვე, წელი)
(Day, Month, Year)

დანართი №6

(მფ-13-007-01-16.01.2025)

ქ. ბათუმი. რრ/თთ/წწწწ

სააპელაციო კომისიის ოქმი

შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ს რექტორის N ბრძანებით შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, შემდეგი შემადგენლობით:

1. სახელი გვარი, თანამდებობა – კომისიის თავმჯდომარე
2. სახელი გვარი, თანამდებობა.
3. სახელი გვარი, სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენელ

განიხილა საჩივარი მიღებულ გადაწყვეტილებაზე _____ და დაადგინა შემდეგი:
_____
_____

მიღებული გადაწყვეტილების აღწერა (ფაქტობრივი გარემობა / მტკიცებულებების შეფასება / აპელანტის პოზიციის შეფასება / სხვა პირების პოზიციის შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

_____
_____
_____
_____
_____

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასების შედეგად, სააპელაციო კომისიამ მიიღო შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილება:

- სტუდენტის სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებულ კომპონენტში სტუდენტისთვის შეფასების მინიჭების შესახებ;
- სტუდენტის საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებულ კომპონენტში განმეორებითი გამოცდის ჩატარების შესახებ;
- სტუდენტის საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მომხრე: _____

წინააღმდეგი:_____

კომისიის რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

_____
_____

კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება!

კომისიის წევრთა ხელმოწერები: